საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 0 1921 წ. ხუთშაბათი მარტის 24

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ბიბლიოთეკა

გ ა ზ ე თ
„სოციალისტ-ფედერალისტის“
მიღება შეიძლება ცენტრალ ექსპედიციაში,
რუსთაველის პრ. № 11.

## საერთო კრება ფოსტა-ტელეგრაფში

პარასკევს, მარტის 25-ს საღამოს 6 საათზე მთავარფოსტის კონტორის დარბაზში პლეხანოვის პროსპექტი. ფოსტა-ტელეგრაფის სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაცია იწვევს

## ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე სოც.-ფედერალისტთა საერთო კრებას

რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს

## პროფ. შალვა ნუცუბიძე

### თანამედროვე მომენტზე

დასწრება შეუძლია ყველა მუშა-მოსამსახურეს.

## ბრძოლა ახალ პოზიციაზე

ლოიდ-ჯორჯი და კამპანია ახალ ტაქტიკას დაადგნენ. ხანგრძლივმა გამოცდილებამ ისინი დაარწმუნა, რომ ბრძოლის და იარაღის ტაქტიკა არ გამოდგა სოციალიზმის წინააღმდეგ, რომ ამ გზას შეუძლია თვით ისინი, ვინც მას მიმართავს, მეტად არა ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩააგდოს. იარაღის და პირდაპირი დატაკების ნიადაგზე სოციალიზმის შანსები იზრდება ყოველ დღით, ამ გზის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა და ევროპის ბურჟუაზიის ლიდერმა ფრონტი იცვალა.

უნდა ითქვას, რომ აქამდეც ევროპის ბურჟუაზია აშკარად ვერ ებრძოდა სოციალიზმს იარაღითაც: იგი ქურდულად სხვებს ამხედრებდა, სხვებს ახვევდა თავს ომის საქმეს, იგი ომს ვაჭრული თვალსაზრისით უყურებდა, ფინანსიურად და ტექნიკურად ერეოდა საქმეში და თუ „აფერის“ ნაყოფიერი იქნებოდა რათქმა უნდა. დივიდენდის გაყოფაზე მიდგებოდა რიგი; თუ საქმე წახდებოდა ხელებს დაიბანდა, ურცხვად განზე გაიხედავდა, ვითომ და მე აქ არაფერს შუაში ვარო.

დღეს ბრძოლა ახალ ფაზისში შედის და ამასთანავე უკანასკნელში. თუ აქამდე კაპიტალიზმი იბრძოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მიერ გამომუშავებულ პოლიტიკურ საშუალებებით, როგორიცაა დიპლომატია, მილიტარიზმი და სხვ. ამიერიდან ეს ბურჟუაზიული სახელმწიფოს „ზედნაშენი“ იხსნება და ბრძოლა თვით ეკონომიის ნიადაგზე იმართება. ბურჟუაზიულმა ორგანიზაციამ წარმოებისა უნდა დაამტკიცოს თავისი უპირატესობა სოციალისტურ ორორგანიზაციაზე.

ლოიდ ჯორჯს და კომპ. სურთ გამოიყენონ რკინის კანონები ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისა, ეკონომიურ ურთიერთობაში ჩაითრიონ სოციალისტური ეკონომიკა და ვარაუდობენ რამის სიახლეს და გამოუცდელობას, იმედი აქვთ ამ უკანასკნელ პოზიციაზე გამარჯვებისა. ასეთია ნამდვილი აზრი ლონდონის ხელშეკრულობისა და ის თუ ერთგვარად სოციალიზმის გამარჯვების შედეგია, მეორე მხრივ ახალ და უფრო დიდი ბრძოლის დასაწყისია.

ბრძოლა საბედისწერო ხასიათს იღებს: დარღვეულია სახელმწიფოებრივი „ზედნაშენი“ კაპიტალიზმისა, დაცლილია მისი მილიტარიზმი და დიპლომატია, ბრძოლა გადადის უკანასკნელ პოზიციაზე. რა შანსები აქვს ორივე მხარეს გამარჯვებისა? ამაზე შემდეგ.

**ნარი**

## ახალი ამბავი

— **დღეიდან ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებმა გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტის“ მისაღებად უნდა მიმართონ ცენტრალურ ექსპედიციას (რუსთაველის პროსპექტი № 11).**

— დავკარგე სტუდ. მაკარი ნიკოლოზის ძე ხუპუამ გასული სემესტრის პირადობის ბარათი, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.

— **მასწავლებლების კრება.** ტფილისის მასწავლებელთა საერთო კრება დანიშნულია მასწავლებელთა სახლში (ყოფილ ქართული კლუბი ხუთშაბათს, მარტის 24-ს საღამოს 6 საათზე. კრებაზე ბარათების მიღება შეიძლება 12 საათიდან.

დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) პროფკავშირთა მიზნები და მათი ორგანიზაცია, 3) გამგეობის დამატებითი არჩევნები.

## ქრონიკა

— **ბავშვობის და დედობის დაცვის საზოგადოება** სახალხო განათლების კომისარიატის უწყებაში გადავიდა ბავშვების და დედობის დამცველი საზოგადოება ყველა სკოლებით და თავშესაფარებით, რომელნიც ეკუთვნოდნენ ხსენებულ საზოგადოებას.

— **შინი მრეწველობის ორგანიზაცია.** მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსდა განყოფილება შინა მრეწველობისა, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება მატყლის სართავი ქარხანა, სახარატო, კალათის საწნავი და საქსოვი სახელოსნოები, რომელთა ნაწილიც იმყოფება ტფილისში, ნაწილი კი პროვინციაში. ეწყობა ქსოვის უმაღლესი კურსები.

— **მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი.** დეკრეტი მე-11 სარევ. სამხედრო ტრიბუნალის და მისი სადივიზიო განყოფილებებისთვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეების საქმეთა დროებით დაქვემდებარების შესახებ.

§ 1.

ბოროტმოქმედებანი, რომლებიც თავის თვისებებით წარმოადგენენ საშიშროებას საქ. სოც. საბჭ. რესპ. თავდაცვისთვის, და ის მოქმედებანი, რომლის დაშვებაც ჯარით დაბანაკებულ რაიონებში ხელს შეუწყობს დეზორგანიზაციას და წითელ ლაშქრის ბრძოლის უნარის შემცირებას. ექვემდებარება გასარჩევათ 9 ლაშქრის რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

ყველა სამხედრო ტყვეები მე 11 ლაშქრის სამხედრო მოქმედების რაიონში, რომელიც შემჩნეული იქნებიან კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაში, თუ ამას ადგილი ქონდა საქართველოს რევკომის მიერ სამხედრო და საერთოდ სისხლის სამართლის ქვეშ მყოფ პირთათვის ამნისტიის გამოცხადების შემდეგ, ექვემდებარებიან მე-11 რევ. ტრიბუნალს.

§ 3.

ყველა ბოროტ-მოქმედების ჩამდენნი, რომელიც გადაცემული არიან რევ. ტრიბუნალზე თანახმად „იზვესტიის“ № 67-ში ს. ც. ა. კ. 37 მარტს 1920 წლ. გამოქვეყნებულ დებულებისა თუნდაც ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეთაგან მარტო ერთი კაცი იყოს ექვემდებარება მე 11 რევ. ტრიბუნალს.

§ 4.

იმ პირთა საქმეები, რომელთაც ბრალათ ედებათ ჯაშუშობა, შეთქმულება და კონტრ-დაზვერვაში სამსახური, ექვემდებარება მე-11 რევ. ტრიბუნალს.

**შენიშვნა:** ეს პარაგრაფი ვრცელდება იმ საზოგადოებებზე და კერძო პირებზე, რომელთაც მიზნათ აქვთ სოციალისტ. საბ. წესწყობილების დამხობა.

— **აგიტპუნქტის პროვინციებში** გრუკავროსტას საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებამ სააგიტაციო პუნქტი გახსნა ახალციხეში. აგიტპუნქტთან გახსნილია სამკითხველო, მოეწყობა თეატრი, გამოდის სამხატვრო პლაკატები და საპლაკატო მოამბენი. ქალაქის და ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი დიდი ინტერესით ეპყრობიან ახალ საქმეს და ხალხით გროვდებიან ახალ აგიტპუნქტების ბინებზე. ძალიან საჭიროა პარტიული მომუშავენი და სამიტინგო ორატორები.

— **ხელოვნება.** სახელმწიფო ოპერა. ხუთშაბათს სტაროსტინის და სარაჯიშვილის მონაწილეობით დადგმული იქნება ოპერ „ტრავიატა“.

— **საკამერო თეატრი.** ხუთშაბათს; მარტის 24, დღის 4 საათზე საკამერო თეატრში დანიშნულია გამოცდა იმ პირთა, რომელნიც ჩაეწერენ დრამატიულ ხელოვნების სტუდიაში.

**მსახიობთა მატერიალური მდგომარეობა.**

სახელმწიფო საოპერო თეატრის კომისარმა ამხ. ქართველიშვილმა გრუკავროსტას თანამშრომელთან საუბრის დროს გადმოსცა, რომ მსახიობთა მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ აიძულა ის მიემართა სახ. სასურს. კომისარიატისთვის თხოვნით, რათა დაუყონებლივ მიღებულ იქნეს ზომები მსახიობთა და მოსამსახურეთა კვების გასაუმჯობესებლად. სახალ. სასურსათო კომისარიატი შეპირდა ყოველგვარ ზომების მიღებას და პურის ულუფის 2 გირ. გადიდებას მსახიობთა და მოსამსახურეთათვის 1 ნახ. გირ. მათი ოჯახის წევრებისთვის. თეატრის გამგეობა. თავის მხრივ მისცა ავანსები 500,000 მან. მსახიობთა და მოსამსახურეთათვის სურსათის შესაძენად. აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა, რათა მსახიობებსა და მოსამსახურეთ მიეცეთ დახმარება სეხის სახით და ძალიან ღ რიბებს საჩუქრად. რევკომი შეპირდა სახელმწიფო თეატრის მსახიობებს და მოსამსახურეთ დახმარება 10,000 მან. თითეულზე. გარდა ამისა ამ დღეებში გაიხსნება სასადილო. რაც შეეხება თეატრის ცხოვრების შინაურ გარდაქმნას. ამხ. ქართველიშვილის შეხედვით, ეხლა ეს შეუძლებელია, რადგან სეზონის გათავებამდე დარჩა მხოლოდ ორი თვე. მიუხედავად ამისა, მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა ეს ორი თვე ინტენსიურად იქნეს გამოყენებული ინტენსიურად ე. ი. ახალ დადგმათა მხატვრულობის გაძლიერებით. გასტროლებზე მოწვეულია ცნობილი მსახიობი ქალი სტაროსტინა. შესდგება აგრეთვე საოპერო ძალთა დებიუტები რეპერტუარში შედის მთელი რიგი ოპერებისა, რომლებიც ამ წელიწადში არ დადგმულა. დაიდგმება მთელი რიგი სიმფონიურ კონცერტებისა. ახლო მომავალში დაიდგმება ბალეტი „შეხაზარადა“ რიმსკი-კორსაკოვის მუსიკა და „ამირანი“ ფოცხვერაშვილის სიმფონიური პოემა. ამ ბალეტთა დადგმა მინდობილი აქ ს მ. მ. მორდკინს.

— **მასწავლებელთა შენობები.** სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: იმის გამო, რომ ტფილისის თითქმის ყველა სასწავლებლებში სწავლა განათლება, მიღებულ იქნას საჭირო ზომები, რომ ამ სასწავლებელთა შენობების რეკვიზიცია არავის შეეძლოს.

— **საღამოს კურსები წითელ არმიელთათვის.** სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ მიანდო სკოლის გარეშე სწავლის უფროსის ინსპექტორს ვ. კანდელაკს მოეხდინა მცოდნე პირთა თათბირი წითელ არმიელთათვის საღამოს კურსების მოწყობის შესახებ.

— **საშუალო სასწავლებლებში.** სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა საშუალო სასწავლებელთა მე-8 კლასის მოწაფეთ სწავლა დაამთავრებინოს აქამდე არსებულ წესების თანახმად.

— **სკოლის გარეშე სწავლა** სახალხო კომისარიატის სკოლის გარეშე განყოფილებასთან დაარსეს კომისია სკოლის გარეშე განათლების მოსაწყობად. კომისიაში მიწვეულნი არიან პირნი, რომელთაც ზედმიწევნით აქვთ გაცნობილი, როგორ არის დაყენებული ეს საქმე საბჭოთა რუსეთში. მუშაობის საერთო გეგმა შემდეგია: 1 წერა-კითხვის სკოლები, საზოგადო განათლების კურსები და სკოლები მოზარდ მუშებისათვის. 2. სახალხო უნივერსიტეტები, მუშების კლუბები და ბიბლიოთეკებ-სამკითხველოები, 3. სპეციალური კურსები და შრომის სკოლები მოზრდილთათვის.

— მიმართვა ს. რ. პარტიის. (გაგრძელება). ეხლა, როდესაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა დამარცხილდა როდესაც მთელს საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა მთავრობამ, როდესაც უკანასკნელი იმედი მენშევიკებისა ბათომი დაკავებულია წითელ ლაშქარის მიერ, თუმცა ქემალისტები ცდილობენ ხელი შეუშალოთ ამისთვის, როდესაც ოფიციალურ შეთანხმებით საქართველოს მთავრობამ აღიარა საბჭოთა მთავრობა. და კიდევაც დასთანხმდა თავის ჯარის დაშლაზე და გაიქცა,—განგრძობა მარტოთ დარჩენილ ერევნისა იქნება არა მარტო უბრალო სამხედრო ავანტიურა, არამედ პირდაპირ დანაშაულობა წინაშე სომხეთის მშრომელ ხალხისა, ვისაც სურს ემსახუროს ხსნის კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის პ. ს. რ. სურს რათა ვიდან აიცდინოს სისხლ ს ღვრა და რაც შეიძლება მალე დამთავრდეს სამოქალაქო ომი ამიერ კავკასიაში, აცხადებს საქმეთა ნამდვილ ვითარებას და მიაჩნია აუცილებლათ და მიზან-შეწონილათ დაუყოვნებლივ მოისპოს, წინააღმდეგობა. დასასრულ შეგვიძლიან შევატყობინოთ, ომი ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პ. ს. რ. თვალსაზრისს იზიარებენ ყველა პოლიტიკური ჯგუფები, რომლებმაც კი იციან საქმეთა საზოგადო ვითარება, თუ საჭირო იქნება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მზათ არის ყოველივე დამატებითი ცნობა მოგაწოდოთ.

— **ამხ. შეინმანის დაბრუნება.** მარტის 20, დილის 4 საათზე მათომიდგან ტფილისში დაბრუნდა შეინმანი. ტფილისში დაბრუნდნენ აგრეთვე მენშევიკურ მთავრობის მიერ დაპატიმრებული თანამშრომლები რ. ს. ფ. ს. რ., აზ. ს. ს. ს. რ. და სომ. ს. ს. რ. მისიებისა და რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის თანამშრომლები. ტფილისში დაბრუნდა აგრეთვე ქუთაისიდან საბჭოთა რუსეთის სამხედრო წარმომადგენელი საქართველოში ნ. ჟორდანიას მთავრობასთან პ. პ. სიტინი, რომელიც დარჩება თავის თანამდებობაზე საქართველოში.

— **გერმანიის მისიის მოსვლა.** ბათომიდან ტფილისში მოვიდა საგანგებო მატარებლით გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელი გრ. რაუშერი.

— **რუსეთის სოციალ. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის მისიის და დატუსაღებულ კომუნისტების წვალება.** გრუკავროსტას თანამშრომელს შესძლეს უამბეს რუს. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მისიაში. უკვე დიდი ხნის წინ აჯანყებამდე მენშევიკურ საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყო. პირველად დაატუსაღეს თებერვლის, 17 დილის 4 საათზე ამხ. ს. ქავთარაძე, და მდივნები ამხ. იურევიჩი და ლებედევი. დატუსაღება მოახდინეს თბილისის რაიონის გენერალ გუბერნატორის ჩხიკვიშვილის ორდერით, რომელშიც აღნიშნული იყო რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მისსიას პასუხის მგებელი თანამშრომლები უნდა დატუსაღებულ იქმნანო. თუმცა დატუსაღების წამს დაპირდნენ დღესვე გაგიშვებთ ვინაობის გამორკვევისთანავე, ბარგს ნუ წამოიღებთო, დატუსაღებულნი მაინც გაგზავნეს თბილისის სადგურზე სადაც თებერვალს საღამომდე დატოვეს, მერე ჩასხეს მატარებელში და გაგზავნეს ქუთაისში. აღნიშნულ თანამშრომლებს გარდა, დატუსაღეს მისსიის დანარჩენი თანამშრომლებიც, მათ შორის ქალებიც. ამხ. შეინმანი თებერვალს 17 საღამოს წაიყვანეს განსაკუთრებულ რაზმში, საიდანაც იგი გაგზავნეს სადგურზე და ჩასვეს მე-3 კლასის ვაგონში საშინელ პირობებში უფანჯროთ, უწყლოდ. მისსიის ყველა თანამშრომლები გაანაწილეს ორ ჯგუფათ. პირველი ჯგუფი, ამხ. შეინმანის მეთაურობით, გაგზავნეს ქუთაისში 18 თებერვალს დილის 10 საათზე, სადგურ გორამდე მათთვის არ მიუციათ არც საჭმელი, არც წყალი და აუკრძალეს რისამე ყიდვა. გზაში შეხვდნენ მატარებელს, რომელშიაც იმყოფებოდნენ უცხოეთის მისიები, მათ შორის საფრანგეთისა, რომელიც მიდიოდა ტფილისში. დატუსაღებულ ყვირილი დაიწყეს ფანჯრებიდან: „გვ ნახეთ ფრანგები ან სხვა ვინმე“. ამ ყვირილზე მოვიდა საფრანგეთის სამხედრო ატაშე კორბეილი, რომელსაც ამხ. შეინმანმა სთხოვა გადაეცა საქართველოს მთავრობისათვის, მოთხოვნილება წესიერად მოექცნენ და გაუმჯობესონ რუსეთის მისიის თანამშრომელთა მგზავრობის პირობები. კორბეილი დაჰპირდა შეინმანს მის თხოვნის ასრულება. დატუსაღებულთ თან მისდევდნენ სახალხო გვარდიელები. მიუხედავად ბევრი თხოვნისა, წყალი მაინც არ მისცეს. სახალხო გვარდიელები არ უშვებდნენ უცხოეთის მისიების თანამშრომლებს, რომელნიც ცდი-

ილობდნენ დატუსაღებულებთან მისვლას, 1 საათის შემდეგ მოდარაჯე ოფიცერმა გამოუცხადათ, რომ სადგურ ბაქანზე ყველას მოეცემათ ნებართვა ისადილონ. პირველი ჯგუფი მივიდა ქუთაისს 19 თებერვალს. მეორე ჯგუფი გაიგზავნა სადგურ თბილისიდან 18 თებერვალს საღამოთი. მისი მგზავრობაც იმავე პირობებში იყო ჩაყენებული, როგორც პირველი ჯგუფისა. ეს ჯგუფი მივიდა ქუთაისს 20 თებერვალს. ქუთაისში ამხ. შეინმანი, სტენი, ქავთარაძე და მდივანი დააბინავეს სასტუმრო „ორიანტში" დანარჩენნი მათ შორის ქალებიც გაიგზავნენ საპატიმროში. 26 დღისით საპატიმროში გადაიყვანეს ამხ. ქავთარაძეც თანამშრომლები ქუთაისში თავიანთ ხარჯით იკვებებოდნენ. გერმანიის წარმომადგენელმა რაუშენმა გადასცა ამ მიზნით მილიონ მან. ნახევარი მან. მან რამდენჯერმე ინახულა ამხ. შეინმანი. ამხ. შეინმანის ცდამ კავშირი იქონია საპატიმროში მყოფ თანამშრომლებთან ამაოდ ჩაიარა. ითხოვეს, რომ დაპატიმრებულ ქალების ნაცვლად საპატიმროში ჩაესვათ ბინაზე დაპატიმრებული კაცები, მაგრამ ამაზედაც უარი უთხრეს. საერთოდ დაპატიმრებულთ ცუდათ ექცეოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ საპატიმროში მუშტი კრივი გაიმართა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ფაჩულიამ, კედიამ და სულაქველიძემ. პარტიულ ამხანაგთაგან ბევრს სცემეს, თანამშრომელს კუპელის ამოამტვრიეს 5 კბილი ასე გასტანა 7 მარტამდე. ამ დღეს მისიის თანამშრომლებს დაუწყეს გაგზავნა ბათუმს. ამხ. შეიმანის ჯგუფს (21 კაცს) მისცეს საგარეო ვაგონი—სალონი 20 სავარძლით, რომელშიც ისინი დასტოვეს რამდენსამე დღეს. საქართველოს მთავრობის წევრთაგან ამხ. შეიმანმა ინახულა მხოლოდ ლორთქიფანიძე. ბათუმში ამხ. შეიმანი მივიდა 9 მარტს. იქ მდივანი და მისი თანამგზავრები დააბინავეს ერთ სახლში ოლგის ქუჩაზე. 17 მარტს ამხ. შეიმანმა მოსთხოვა გუბერნატორს გიორგაძეს როგორც თავისი, ისე თავის თანამშრომელთა განთავისუფლება, რაზედაც დაითანხმა კიდეც. ამ დროს ცნობა მიიღეს, რომ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან უკვე ერთი კვირა სწარმოებს. მარტის 17-ს 12 საათზე ამხ. შეინმანის ბინაზე იწყეს დენა მენშევიკურ ლაშქრის სამხედრო ნაწილების და მთავრობის დაწესებულების უფროსებმა და აცხადებდნენ, რომ არ სურთ ბათომის დატოვება. უნდა ითქვას, რომ ამ ქარეხის საბჭოთა მთავრობის მხარეზე გამოსვლის ინიციატივა ეკუთვნოდა მთავრობას. მთავრობა ჟორდანიას მეთაურობით და კვინიტაძე გაეცილნენ გემებით. 17 მარტს ო. რამიშვილი, ფაჩულია და კედია წავიდნენ უფრო ადრე სულ დატვირთეს 20 გემამდე. 17 მარტს საღამოს 8 საათზე შესდგა რევკომი ამ. ს. ქავთარაძის და მალაქია ტოროშელიძის მეთაურობით. საღამოს 10 საათზე დაჭერილ იქნა გუბერნატორის სახლი ციხის შტაბი. საღამოს ამხ. შეინმანის ბინაზე გაიმართა რევკომის თათბირი სარდლობასთან ახალ ხელისუფლების მოსაწყობად. აქვე გამოცხადდა ოსმალელი ოფიცერი ქიაზიმ-ბეის პროკლამაციით, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ბათომის ოლქი შეუერთდა დედა სამშობლოს ოსმალეთს და გარდა ამისა გამოთქმულ იყო ღლთმა მოქალაქეთ პიროვნების ხელშეუხებლობისა, დაპატიმრებულთა საქმეების განხილვის და კერძო ვაჭრობის ნებართვის თაობაზე. საღამოს 10 საათზე გამოცხადდა ქიაზიმ ბეის თანაშემწე და წინადადება მოგვცა ოსმალეთის ბაირაღის აღმართვის შესახებ იმ შენობაზე, სადაც ამხ. შეინმანი სცხოვრობდა და დასაცავათ ოსმალეთ ყარაულებს აყენებდა. ამხ. შეინმანმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე.

მარტის 18, ქუთაისის ქუჩაზე სძარცვავდნენ დუქნებს და ქალაქში ისმოდა სროლა. მარტის 18 ოთხ საათზე ქიაზიმ ბეიმ უარი განაცხადა ხელის უფლებაზე და თეთრი ბაირაღი აღმართა.

— მარტის 21 გერმანიის მისია რაუშერის მეთაურობით, ამხ. შეინმანი და საბჭოთა მისიის თანამშრომლები ჩამოვიდნენ თფილისში.

# საბჭოთა რუსეთი

**სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესის და პრეზიდენტ გარდინგისადმი.**

**მოსკოვი.** 22—3. „დღიდან თავის არსებობისა საბჭოთა რუსეთი იმედოვნებდა, რომ იგი მალე შესძლებდა დაემყარებია მეგობრული დამოკიდებულება ჩრდილო-ამერიკის დიდ რესპუბლიკასთან იმ ფიქრით, რომ ორივე რესპუბლიკას შორის დამყარდება მტკიცე კავშირი ურთიერთ სარგებლობისათვის. იმ ხანებში, როდესაც ანტანტის სახელმწიფოებმა დაიწყეს გამოლაშქრება და შემოიჭრნენ საბჭოთა რუსეთის საზღვრებში ომის გამოუცხადებლად და არავითარი გამომწვევი მიზეზი მათ არ ქონდათ, საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ მიმართა ჩრდილო ამერიკის მთავრობას წინადადებით, მიეღო ზომები, რომ ბოლო მოღებოდა სისხლის ღვრას მაშინაც კი, როდესაც ამერიკის ჯარები მონაწილეობას ღებულობდნენ სხვებთან ერთად საბჭოთა რუსეთზე თავდასხმაში, რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა მაინც კიდევ იმედოვნებდა მისდამი ამერიკის მთავრობის დამოკიდებულების შეცვლას და ამას ხაზგასმით აღნიშნავდა. რაც გამოიხატებოდა განსაკუთრებულ დამოკიდებულებით ამერიკის მოქალაქეთადმი რომლებიც რუსეთში დარჩნენ. პრეზიდენტი ვილსონი სრულიად უმიზეზოდ და ომის გამოუცხადებლად დაეცა თავს რუსეთის რესპუბლიკას და მთელ თავისი მართველობის ყოფნის დროს აძლიერებდა მტრობას რუსეთის რესპუბლიკისადმი. საბჭოთა რუსეთი იმედს გამოსთქვამს; რომ ამერიკის რესპუბლიკა არ დაიწყებს ჯიუტობას, და ამერიკის ახალი მთავრობა ნათლად გაიგებს, თუ როგორ დიდ სარგებლობას მოუტანს ორთავე რესპუბლიკებს მათ შორის საქმიანი დამოკიდებულების განახლება: ორთავე ხალხის ინტერესების მიხედვის მიზნით უნდა მოსპობილ იქნეს მათ შორის გამაცალკალკევებელი კედელი. საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც სრულიად უნდება თავის დიდ შინაურ აღმადგენლობის და სამეურნეო ცხოვრების შექმნის საქმეებს. სრულიადაც არ აქვს განზრახვა ჩაერიოს ამერიკის შინაურ საქმეებში. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოგმართავს თქვენ კატეგორიულ წინადადებით ამის შესახებ. ეხლა, როდესაც ბევრმა სახელმწიფოებმა დასდვეს სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან და დამყარებულია წესიერი დამოკიდებულება. არ ჰქონდა ამ დროს ამერიკასთან საქმიან დამოკიდებულების საბჭოთა რუსეთს მიაჩნია განსაკუთრებით არა ნორმალურად და ორთავე ხალხის დამღუპველად. ს. ც. ა. კ. მოგმართავს თქვენ ნორმალურ წინადადებით აღდგენილ იქნას ამერიკისა და რუსეთის შორის სავაჭრო დამოკიდებულება. ამ მიზნით უნდა მოწესრიგებულ იქმნას დამოკიდებულება ორივე რესპუბლიკებს შორის. ს. ც. ა. კ. ამისთვის მოგმართავს თქვენ წინადადებით გაიგზავნოს ამერიკაში სპეციალური დელეგაცია ამერიკის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოვოდ, საქმიან დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად და ვაჭრობის აღსადგენად რუსეთ-ამერიკის შორის. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე კალინინი მდივანი ზალუცკი.

**აღმოჩენა.**

**ვიატკა.** 19—3 (რადიო). მუშა კალაშინის შვილმა აღმოაჩინა გადამღები ქაღალდის და საწერ მანქანების ლენტების დამუშავების შინა-მრეწველობითი საშუალები.

# უცხოეთი

**ევროპა და რუსეთი**

**პარიზი.** მარტის 20. გაზეთი „ფიგარო" იტყობინება, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა მიმართა ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეს განცხადებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ახლო წარსულში მომხდარი ტრაგიკული ამბები პოლონეთში და ყირიმში ამტკიცებენ, რომ სამხედრო ავანტიურები არას დროს არ მისცემენ შესაძლებლობას, რათა აღდგენილ იქმნას მშვიდობიანობა რუსეთში. ამერიკის ხალხი დარწმუნებულია, რომ რუსეთის რევოლიუციას, კეთილ საქმიანს თავის ძირითადი მიზნებით, უნდა მიეცეს თავისუფლება განვითარებისა, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა გადასწყვიტოს ყველა მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები თვით ხალხის ძალით, მის სულიერ სიძლიერით და ეკონომიურ გამოცდილებით ევროპის და ამერიკის ქვეყნებსა საჯაროთ და ხმა მაღლა უნდა განაცხადონ, რომ იგინი არ ერევიან რუსეთის ხალხის საქმეში.

**საფრანგეთის პრემიერის განცხადება.**

**პარიზი.** მარტის 20. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ ბრიანმა განაცხადა: საფრანგეთის ხალხი მოითხოვს, სავაჭრო დამოუკიდებულების აღდგენას და ცხოვრების ნორმალ პირობების დაბრუნებას. მაგრამ ეს შეუძლებელია. მთელ მსოფლიოს გადაფენილი აქვს სიღარიბეს და უმუშევრობის შავი ღრუბელი. პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან გამორკვეველია. საჭიროა მიღებულ იქმნას ყოველი ზომა, აღმოსავლეთის საკითხის გადასაწყვეტად და საერთო მშვიდობიანობის დასახმარებლად. ევროპისათვის მეტად მნიშვნელოვანია რუსეთის საკითხი. საფრანგეთმა გადასწყვიტა არ ჩაერიოს რუსეთის შინაურ საქმეებში. უწევს რა ანგარიშს საერთო მდგომარეობას და აგრეთვე საფრანგეთის კეთილდღეობას საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დაუყონებლივ აღადგინოს დიპლომატიური დამოკიდებულება ყველა ქვეყნებთან.

**ეკონომიური კრიზისი ინგლისში.**

**ლონდონი.** მარტის 20. ლიბერალების ორგანო „ტაიმსი" ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობას კატასტროფიულად სთვლის. გაზეთი სწერს: „ყველა კაპიტალისტური ქვეყნები გაღატაკდნენ. ფულის კურსი იმდენად დაეცა, რომ მათ არ შეუძლიათ მისცენ ინგლისს საქონლის საფასური, რაც უმუშევრობას აძლიერებს. საკითხი უმუშევრობის შესახებ იმდენად საშიშია, რომ ინგლისს თავის საკუთარი ძალებით არ შეუძლია ის მოიშოროს. გაზეთი მოუწოდებს ინგლისის მუშებს უმუშევრობასთან ორგანიზაციულად ბრძოლისკენ.

**პლებისციტი ზემო სილეზიაში.**

**ლონდონი** მარტის 20. (რადიო). საფრანგეთის პრესა იტყობინება, რომ პლებისციტი ზემო სილეზიაში სრულიად მშვიდობიანად მიმდინარეობს. პლებისციტში აჭარებული მოქალაქე იღებს მონაწილეობას. ორშაბათს, საღამოს უნდა გამორკვეულიყო წინასწარი შედეგები ხმის მიცემისა.

**ავსტრიის მდგომარეობა.**

**ლიონი.** მარტის 20. (რადიო) ავსტრიის წარმომადგენელმა მაიერმა მიმართა თხოვნით საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებს, რომელიც იმაში უნდა გამოიხატოს, რომ დაეთმოს ავსტრიას 200,000 ტონი ნახშირი ყოველთვიურად იმ რაოდენობიდან, რომელიც მიიღეს გერმანიისაგან. შემდეგ ავსტრია ითხოვს გაეხსნას მას კრედიტი იმ რაოდენობით, როგორც ამერიკამ და ინგლისმა გაუხსნეს, რადგანაც ეს უკამი მისცემს ავსტრიას შესაძლებლობა იარსებოს გერმანიასთან შეუერთებლად. ავსტრია მიუთითებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ავსტრია შეუერთდება გერმანიას და ამას კი ანტანტა ვერ დაუშლის.

**ქრისტიანია,** მარტის 18. (რადიო). ფრანგული კომუნისტური გაზეთი „ჰუმანიტე", იხილავს რა ინგლის რუსეთის შეთანხმებას, ამბობს, რომ ამ შეთანხმებას მალე მოჰყვება რუსეთ-იტალიის შეთანხმება. სავაჭრო შეთანხმება, გაზეთის აზრით, ნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკის ფაქტიურათ ცნობას რაც ნიშნავს ანტანტის პოლიტიკის ახალ დამარცხებას, რომელიც (ანტანტა) დღემდე საფრანგეთის ხელმძღვანელობით ცდილობდა წითელ რუსეთის გაცალკევებას. ბურჟუაზიულ პრესის ხელმძღვანელ წრეების სულიერი განწყობილება დაცემულია.

**ინგლისის პრესა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.**

**ლონდონი,** მარტის 17. (რადიო) დეილი ექსპრესი" მხურვალეთ მიესალმება შეთანხმებას. მათთვის გახსნილია გზა, ამბობს გაზეთი, მომავალ მუშაობისთვის, ეხლა უნდა დაკმაყოფილდეს რუსეთის მოთხოვნილება წარსულ ექვსი წლისა. ამ გაზეთის ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ რუსეთის კომერციულმა აგენტებმა ყველა საფეიქრო შენაკეთი ინგლისის ფაბრიკებს გადასცა. „მანჩესტერ გარდიანი" აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების ასეთი გაგრძელება თავის უაზრობით, შეიძლება შეედაროს გერმანიის მითიურ მილიონების ძებნას. „საბჭოთა რუსეთის სრული ცნობა", ამბობს გაზეთი, „არის მხოლოდ დროის საკითხი". გაზეთი მიუთითებს რუსეთის ულევველ ქონებაზე. „დეილი გერალდი" დადებულ ხელშეკრულებას სთვლის მუშათა [illegible] ტრიუმფათ და მიდის ისეთ დასკვნამდე, რომ თუ კი მუშები მოინდომებენ ამ გვარამდვე შეუძლიათ გააიჩინონ თავის ნებისყოფა ყოველ გვარ შემთხვევაში.

**ჯარისა და გამარჯვებისაგან სრულიათ შეიშალენ.**

**ლონდონი,** მარტის 18. (რადიო) გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აშკარათ კიცხავს ლოიდ-ჯორჯს სავაჭრო ხელშეკრულების ხელის მოწერისათვის. „ლოიდ ჯორჯი" ამბობს გაზეთი, თავის სავაჭრო ხელშეკრულებით აძლიერებს და ამტკიცებს საბჭოთა მთავრობას. რუსეთს ყავს ძლიერი ლაშქარი, შეიძლება მთელ ქვეყანაზე არ იყოს ასეთი ძლიერი ლაშქარი. დადებულ ხელშეკრულებით მას შეუძლია უზრუნველჰყოს იგი. ამ ლაშქრის გამოყენება შეიძლება თითეულ მოკავშირის წინააღმდეგ და შეიძლება ყველა მათგანის წინააღმდეგაც ერთად.

**მუშათა მოძრაობა პოლონეთში.**

**კოვნო.** გაზეთ „რაბოტნიკის" ცნობებით ლოძში, კრაკოვში, ჩენსტოხოვში და სხვა ქალაქებში შესდგა მიტინგები რკ. გზ. და. სოფ. მეურნ. მუშათა. მიტინგებზე მიღებულ იქმნა რეზოლიუცია პოლონეთის მთავრობის რეაქციონერ პოლიტიკის წინააღმდეგ. ცენტრალურმა კომისიამ პროფ. კავშირებს ვადა მისცა პოლონელ მუშათა აქტიურ გამოსვლების დასანიშნავად. ცენტრალური კომისია განსაკუთრებულ მოწოდებით აფრთხილებს რომ ბრძოლა იქნება დაუნდობელი.

**სიკვდილით დასჯა გაქცეულთათვის.**

**ნაუენი,** მარტის 20. პოლონეთის სამხედრო მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც სიკვდილით დაისჯება გაქცეული.

# მუშათა წერილები

## საუბარი მუშებთან

3.

**რას გვაძლევს მომენტი?**

ამ ორიოდე დღეში, რაც საქართველოში გადატრიალება მოხდა და მენშევიკების მთავრობის ადგილი დაიჭირა სოციალისტურ-კომუნისტურმა მთავრობამ ბევრმა არამზადამ ისე გაიგო ეს გადატრიალება, რომ გუშინდელ შავრაზმელს, თეთრ-კბილა და შავგულა ადამიანს, ყოვლად უზნეოს, ღვარძლისა და შურის მთესველს ქართველი მშრომელის, მუშების და გლეხების ზურგზე გადაეარა, მისი ქონება, რომელიც წვითა და დაგვით, მოხერხებით შეუძენია გადატაცნა, გაეპარტახებინა და მის ნაოხარზე დემონიურის ხარხარით მოეკალათნა. ეს ვაჟბატონები ისე გათავხედდნენ, რომ თუ ორიოდ დღის წინად სოციალისტობა სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, ყალბი ქორებით აჯერებდნენ მშრომელ ხალხს კომუნისტების „სიმხეცეზე", რომელთა წყალობითაც სრულიად გაუკუღმართდა, ბურჟუებთან ერთად ბევრმა მუშამაც გაანება თავი თავის კერას და გაიქცა იმ მიზნით, რომ ფიზიკური არსებობა მაინც შეენარჩუნებინა.

დღეს ახალი მთავრობის მოვალეობას შეადგენს, კბილი გაუშინჯოს გუშინდელ შავრაზმელს, რომელსაც მარტო თავის ბნელი საქმეები აინტერესებდა, არაფერს ზოგავდა ხალხის გადაკიდება-მტრობისთვის და კერძოდ საქართველოს დაღუპვისთვის. აი ამ ვაჟბატონებმა გადატრიალებისთანავე წითელი ბანტები შეიბნეს და ყველგან ძვრებიან თავიანთ შავი გულით, ვითომდა გული ეწვით მშრომელი ხალხისთვის, უყვართ სოციალიზმი და ძმობა-ერთობა!..

საჭიროა დიდი სიფრთხილე, თანდათანობითი გაცხრილვა ამნაირ „სოციალისტებისა" და შესაფერი ადგილის მიჩენა. ამ საქმეში დახმარება თვით მშრომელმა მასამ უნდა აღმოუჩინოს მთავრობას, იმ მასამ, რომელნიც ბუნებითაც და მდგომარეობითაც უახლოვდებიან სოციალისტურ გზას.

ამ შემთხვევაშიაც არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე სოფელი, რადგან უმთავრესი ღერძი და ქვეყნის მასაზრდოებელი სოფელია. შესაძლებელია ანარხიამ წამოყოს იქ თავი, რადგან ბევრ ბნელ ადამიანს ისე აქვს გაგონილი, რომ მენშევიკურ მთავრობის დაცემასთან ერთად საქართველო დარჩა უპატრონოდ, შექმნილ გარემოებით სურს ისარგებლოს და სხვის ნაამაგდარზე თავის საკუთარი [illegible]. ასეთმა მდგომარეობამ [illegible] და თუ [illegible] მხეცური ინსტიქტი ჩაკლული შესაძლებელია მომავალში დიდ ცეცხლის კოცონად იქცეს და მერე გვიანღა იქნება.

მე მოგახსენებთ გორის მაზრაში ოსებისა და ქართველების ურთი-ერთობაზე. როგორც იქიდან ჩამოსული გლეხები მოგვითხრობენ ბევრა სოფლებში აუკლიათ ოსის შეიარაღებულ ბრბოებს, იტაცებენ თურმე საქონელს, ქონებას, სწვავენ სახლებს და მკვლელობასაც არ ერიდებიან. თუ ნაციონალურმა ღვარძლმა და შურმა გადაჰკიდა ეს ორი მეზობელი ხალხი ერთმანეთს, ეხლა მაინც მიექცეს სასტიკი ყურადღება და შესაფერად დაისაჯნონ ის პროვოკატორ-შოვინისტური ღვარძლის მთესველნი, რომელნიც ასე საშვილიშვილოდ ჰკიდებენ ერთმანეთს ამ ორ მშრომელ ხალხს.

ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენ მშრომელ ოსებთან არაფერი გვაქვს გასაყოფი და მათ კიდევ ჩვენთან. ამასთანავე ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი არავის არაფერს წაართმევს, ყველას ძმურ ხელს გაუწვდის და ამასვე მოითხოვს სხვისგანაც.

ასოთ-ამწყ. პ. ახალქაძე.


## დავკარგე
## ექვსი თვის პასპორტი

ტფილისის მე-4 კომისარიატის მოცემული ნინო სერგოს ასული რამიშვილის სახელზე გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. 674

## განცხადება
## დავკარგე პასპორტი

უვადო ალექსანდრე ილარიონის ძე დოხნაძემ

მოცემული ტფილ. მილ. სამართველო 1918 წ. № 85 სამუდამო თავისუფლების მოწმობა სამხედრო სამსახურის შესახებ მოცემული ტფილ. სამხედრო უფ. მიერ 1920 წ. აგვისტოს 1-ს მოწმობა წევრობისა ომში დაჭ. დასახიჩ. კავშირისა სურათ მოცემული ქალ. ტფილისში 1920 წ. და სხვა კვიტანციები პოვნილს ვსთხოვ დამიბრუნოს: უკიდურ. შემთხვევაში დოკუმენტები ჩაითვალოს: მისამართი: ამაღლების ეკლესიის აღმართი № 6. ალექსანდრე დოხნაძეს. 675

## დავკარგე

პასპორტი მიხეილ ალიევმა სათათრეთიდან მოცემული გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 676

## დავკარგე წლიური პასპორტი

დუშეთის მაზრის, ბაზალეთის კომისარიატიდან მიღებული. პირადობის მოწმობა, მეტრიკები გრიგოლი გაბრიელის ძე ლალიაშვილის სახელობაზე. 673

## მოსე ფარნავოზის ძე ლორიასაგან განცხადება

ამა 1921-სა წელს მარტის 19-ს დღეს დავკარგე ტფილისში, დეზერტირების ბაზარში, პურის რიგში ტყავის საკეცი პორტმანი 14 ათასი მანეთი ფულით. პორტმანში მედვა ჩემი ძმის, მათე ლორიასა და მასიკო ლორიას სახელზე ნაყიდობა ადგილის, მდებარე ქუთაისის გუბერნიის. სახელწოდება ამა ადგილის ეკანივორი ნიჭრისა ხუთი ქცევის გამომყიდველნი ამა ადგილის ნაყიდობაში ხელმომწერილნი: ფილიპე ფირცხალავა და მეუღლე მისი კატო თალაკველის ქალი. მნახველს ვსთხოვთ მარტო ადგილის ნაყიდობა ღამით ჩამოაგდოს ამ მისამართით: დიდუბე შერემეტევის ქუჩა 60, ეზოში და მივიღებ. ვინაიდან ჩემთვის დიდი საჭირო არის და თუ ვერ ინახოს, მაშინ გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ. ხსენებულ ადგილსა ოთხი წელია, თუ სამი, ის ჩემი ძმა, მათე და მისი ამხანაგი მასიკო ლორიები სარგებლობენ. 677


რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქუჩა № 14. ნ. ფ. ხ. ს.